ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **14-0123269938**
თარიღი: **26/09/2023**

ადრესატი: თამაზი ზანდარაშვილი
პირადი ნომერი: 01030004510
მისამართი: თბილისი მანანა ლოლაძის I ჩიხი N 6

ბატონო თამაზ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 5 სექტემბრის N19/0123248169-14 წერილი, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ჭირნახულის ქუჩა N4-ში საწარმოში შემავალი რკინიგზის (01.01.841) აღდგენის მიზნით საჭირო მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის გაცემას (QN1986660).

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურა არის კეთილმოწყობილი და ჩვენს სამსახურს ზემოთ ხსენებული სამუშაოების წარმოება მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

პატივისცემით,

გიორგი აბუთიძე

ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გაცემის თარიღი

03.10.2023

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	თამაზ ზანდარაშვილი 01030004510
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1986660
გასაჩივრების წესი :	ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1986660

ეთქვას უარი განმცხადებელს განცხადების განხილვაზე, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 26 სექტემბრის #N14-0123269938 წერილით, წარმოდგენილი ტრაექტორიით სარკინიგზო ხაზის მოწყობა არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 2 72 22 22 Email: infoauction@Tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge